საერთაშორისო ენერგო კორპორაცია
INTERNATIONAL ENERGO CORPORATION

01-014/5

Date 05.02.2024

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს, ბატონ ვასილ გედევანიშვილის

ბატონო ვასილ,

გაცნობებთ, რომ თქვენს 2024 წლის 1 თებერვლის N21/832 წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტებში 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის კორექტირებულ ვერსიას.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია N33 სკოპინგის დასკვნის და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-10 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

წერილს თან ერთვის:

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ასლი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაცია"-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- ამბროლაურის და ონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაცია"-ს 110 კვ ძაბვის მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში- ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის სიტუაციური სქემა - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და პროექტის გავლენის ზონაში ტერიტორიების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით -CD დისკზე;
- ინფორმაცია 2024 წლის 1 თებერვლის N21/832 წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით თაობაზე.

პატივისცემით,

გერონტი ცვარიანი

დირექტორი

IECorp
INTERNATIONAL ENERGO CORPORATION LTD
405264057

ს.ს.ი.ს. გარემოს ეროვნული სააგენტო
06 02 2024 წ.
№ 1178

შპს „საერთაშორისო ენერგო კორპორაცია" |405264057| აღმაშენებლის გამზ. #61|საქართველო, თბილისი, 0102
International Energo Corporation Ltd|405264057| #61 D. Agmashenebeli ave. |Tbilisi, Georgia 0102
Tel: 593226760 ; office@iecorp.ge